პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი ჯარი

ფასი 3 კაპ.

ოთხშაბათი, 5 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელხმენი 2—24.

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

96 (1091) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ორგანო | 96 (1091)

## პრესის დღე

დღევანდელი დღე არის პრე-
ს დღე. პრესა, ბეჭდვითი სი-
ყვა ეს ის დიდი იარაღია, რო-
ლის შემწეობითაც შესაძლე-
ლი ხდება სხვა და სხვა საკი-
ხები გარკვეული გახდეს მშ-
რომელთა ფართო მასისთვის.
ძველად, თვითმპყრობელო-
ს დროს, ჩვენი პრესა, მუ-
შათა კლასის პრესა უმთავრე-
დ ემსახურებოდა და არკვევ-
ა ისეთ საკითხებს, რომელიც
ეხებოდა მისი ბრძოლის
ა მუშაობის სახეობას.
ამ ხანაში მუშათა პრესა მა-
თლაც, რომ თვითმპყრობე-
ობის, ბურჟუაზიული წეს-
ყობილების კრიტიკით ხასია-
დებოდა და ამ რიგათ ერთ-
ვარ ნიადაგს უმზადებდა თა-
მედროვე რევოლიუციონურ
დატრიალებას.
ამიტომ იყო, რომ იგი ე. ი.
უშათა პრესა სასტიკი დევნას
ა შევიწროებას განიცდიდა
ვითმპყრობელობის მიერ.
მაგრამ გარდა ამისა მუშათა
რესა სასტიკი ბრძოლას და
რიტიკას აწარმოებდა ყოველ
ურის სოციალ-გამცემლების
აქმიანობას"-თან და ამშკა-
ავებდა მათი მოღალატური
ლიტიკას მუშათა კლასის წი-
აშე.
დღეს კი მუშათა პრესის მთა-
არი ამოცანა მდგომარეობს
მდეგში: მან უნდა ამომწუ-
ავი პასუხი გასცეს ყველა იმ
კითხებს, რომელსაც წამოა-
ენებს მშრომელთა კლასის
ნაშე, თანამედროვე აღმშე-
ბლობითი ხანა.
მრეწველობა, სასოფლო-მე-
რნეობა, კოოპერაცია, გარდა
ისა: ჩვენი კავშირის შინაური
ა გარეშე მდგომარეობა და

მრავალი სხვა—აი ის საკითხები, თემები, რომლებიც უნდა გახდეს ჩვენი მუშათა პრესის ყურადღების მთავარი ცენტრი. ამ საკითხების ფართო მშრომელთა მასის გაცნობისათვის და გარკვევისათვის უნდა იმუშაოს ჩვენი მუშათა პრესამ.

მართალია ამ მიმართულებით მუშაობს იგი დღესაც, მაგრამ საჭიროა და აუცილებლათ საჭიროა, რომ მისი ამ მხრივი მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდეს და განვითარდეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს თვითონ ჩვენი წითელი ჯარის ბეჭდვითი ორგანოს, ჩვენი გაზეთს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი პრესა, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, არკვევს კიდევ ისეთ საკითხებს, რომელიც ეხება თვითონ ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებას და მუშაობას.

აქ კი საჭიროა, რომ ჩვენი სამხკორებმა დაეხმაროს, მშრომელთა ფართო მასას იმ საკითხების გარკვევაში, რომლებიც უშუალოთ დაკავშირებულია ჩვენი წითელი ჯარის მუშაობასთან და ცხოვრებასთან და რომლის გაგებაც ასე აინტერესებს მათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი პრესის საშუალებით მოხდეს დაახლოვება მშრომელთა ფართო მასასთან.

სამხკორო! პრესის დღეს ჩვენ კიდევ მოგაგონებთ ამ შენს დიდ მოვალეობას და გახსოვდეს, რომ ჩვენი პრესის შემდეგი ზრდა და განვითარება შენზეა დამოკიდებული.

ამიტომ გაამართლე იმედები!

## ინგლისში გაფიცვები უკვე დაიწყო.

კრიზისები, რომელიც წარ-
იშვა ინგლისის სამთამადნო
რმოებაში მივიდა თავის გან-
თარების უმაღლეს წერტი-
ომდის. დეპეშების გადმოცე-
თ, მოლაპარაკება, რომელიც
წარმოებდა მაღაროების მეპა-
რონეთა და ამავე მაღაროე-
ის მუშების წარმომადგენელ-
ა შორის დამთავრდა უშედე-
ოთ. შეთანხმება არ იქნა მი-
წეული, მიუხედავათ იმისა,
ომ ბალდუინმა და მუშათა
არტიის ლიდერებმა ბევრი ენე-
გია დახარჯეს.
ლონდონში პირველი მაისის
დღესასწაული ჩატარდა არაჩვე-
ულებრივი აღფრთოვანებით.
მას ხელს უწყობდა ის გარე-
ოება, რომ ქვანახშირის მრე-
წველობაში წარმოშობილი უთა-
ხმოება ამ დღეს გასცილდა
ესაძლებლობის საზღვრებს,

რომელსაც, რასაკვირველია, აუცილებლად უნდა მოყოლოდა დიდი გაფიცვები. ინგლისის მუშათა კლასს კარგი ხანია არ უნახავს ასეთი მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, ამას თუ შეედრებოდა მხოლოდ ის დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ინგლისის პროლეტარიატმა 1920 წ. ომის წინააღმდეგ, რომელსაც აპირებდა ინგლისის მაშინდელი მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პირველ მაისს შესდგა მაღაროებში მომუშავეთა სადელეგატო კონფერენცია, მან მხარი დაუჭირა თავის კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის გადადგმულ ნაბიჯებს, და უარჰყო მაღაროების მეპატრონეების წინადადებები, რომელიც შეეხებოდა სამუშაო დროის გადიდებას და შრომის ხელფასის შემცირებას. კონფერენციამ დადგენილება გამოიტანა აგრეთვე, რომ არავითარ დათმობებზე არ წავიდეს მწარმოებლების მიმართ და თუ საჭირო გახდეს მოაწყოს კიდეც გაფიცვა. ამავე დღეს გაიმართა ინგლისის ტრედიუნეონების გენერალურ საბჭოს სხდომა კავშირების აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთა თანდასწრებით. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი სამთამადნო მუშების გაფიცვის მხარის დაჭერის შესახებ.

როგორც საბოლოოთ გამოირკვა ტრანსპორტის, რკინის გზის, ბეჭდავთა, მელითონეთა მშენებელთა და ელექტრო-მექანიკთა პროფკავშირების აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც აერთიანებს სამ მილიონ ნახევარ მუშებს, გადასწყვიტა ყოველ მიზეზის გარეშე მხარი დაუჭიროს სამთამადნო მუშების გაფიცვას და თუ საჭირო შეიქნეს კიდეც შეწყვიტონ მუშაობა მთელს წარმოებებში.

ინგლისის პროფკავშირების კონფერენციის დადგენილებით მუშათა მთლიანი გაფიცვები დაიწყება სამი მაისისათვის, თუ მანამდის არ იქნება მოგვარებული სამთამადნო მუშების მოთხოვნილებანი. შექმნილ მდგომარეობით შეშინებულმა ინგლისის მთავრობამ მეფის ბრძანებით მთელს ინგლისში გამოაცხადა საგანგებო წესები.

ასეთია მოკლეთ ის ამბები, რომელიც ვითარდებიან ინგლისში და რომელიც უნდა იქცეს დიდ ისტორიულ მოვლენად ინგლისის მრავალ მილიონიან მუშათა კლასის ცხოვრებაში. იწყება გადამწყვეტი ბრძოლა: ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან დახავსებული, კონსერვატიული ინგლისი და მისი რევოლიუციონური პროლეტარიატი.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღება ეხლა მიქცეულია ინგლისისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის და სხვა სახელმწიფოების ბურჟუაზია ფეხზე დადგება და ბრძოლისათვის განემზადება, მაგრამ ჩვენ ისიც გვჯერა, რომ მთელი ქვეყნების პროლეტარიატი გაერთიანებული და ფოლადის სიმტკიცით შეხვდება მის ბარიკადებს.

თ. გ.

# ახალი რადიო ამბები

## მუშათა გაფიცვები ინგლისში

### გაფიცვები ფართე ხასიათს ღებულობს

### ინგლისში საგანგებო წესები გამოცხადებული

#### მუშები დათმობაზე არ წავლენ

1 მაისს, ინგლისის პროფკავშირთა კონფერენციამ დაადგინა გამოცხადებულ იქნას საყოველთაო გაფიცვები, თუ რომ მანამდი არ მოგვარდება საკითხი ქვანახშირის მაღაროებში.

მეფის ბრძანებით ინგლისში საგანგებო წესებია შემოღებული.

სამთო-მადნო მუშათა დელეგატების კონფერენციამ კვლავ აღნიშნა მუშების გადაწყვეტილება, რომ დათმობაზე არ წავლენ. კონფერენციამ ერთხმად მოიწონა გადაწყვეტილება სამთო-მადნო მუშებზე დახმარების შესახებ და დაიშალა „წითელი დროშის" სიმღერით.

გაფიცვების გამო ბევრი დაწესებულება უნახშიროდ დარჩა.

#### მთავრობა ემზადება

უკანასკნელ 2 დღის განმავლობაში მთავრობას დიდი მზადება აქვს. ატლანტიის ფლოტი, რომელიც უნდა გასულიყო მანევრებზე, დატოვებულ იქნა ალაგას.

რადიო-სადგურებზე დანიშნული არიან სამოქალაქო კომისრები, რომლებმაც უნდა გაავრცელონ სამოქალაქო ცნობები, თუ რომ გაზეთების გამოსვლა შესწყდება.

#### „დეილი მეილი" არ გამოვიდა

კონსერვატორულ გაზეთ „დეილი მეილის" სტამბის მუშებმა უარი განაცხადეს გაზეთის გამოშვებაზე და მოითხოვდენ წერილის—„მეფისა სამშობლოსთვის" მოხსნას, რომელშიაც პროფკავშირების მუშების პოზიცია განმარტებული იყო როგორც „ბრძოლა ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ". რედაქტორმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. შედეგად აღნიშნულ გაზეთის დეილის ნომერი აღარ გამოსულა.

#### შეიარაღებული ძალები გაფიცულთა წინააღმდეგ

სამხრეთ უელსის ნახშირის რაიონებში გაგზავნილ იქნა ჯარები, რომლებიც იმოქმედებენ პოლიციასთან შეთანხმებით. საჭიროებისთვის მზადაა აგრეთვე ფლოტიც, რომელიც ინგლისის მთავრობამ აღარ გაუშვა მანევრებზე.

#### ხიქსის განცხადება

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიქსმა განაცხადა, რომ მზად უნდა ვიყოთ, რათა 4 მაისს მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვებიო.

მიღებულია ზომები, რათა მრეწველობის უმთავრეს დარგებში არ შესწყდეს მუშაობა.

გახსნილია მოხალისე მუშათა შესაკრები წერტები.

#### 3 მილიონი 500 ათასი მუშა მზადაა გაფიცვებისთვის

სხვა და სხვა დარგის მუშებმა—3.500.000 კაცმა დაადგინა მხარი დაუჭირონ გაფიცვებს. საჭირო დროს, მთავარ საბჭოს წინადადებით დაუყონებლივ შესწყვეტენ მუშაობას.

## პირველი მაისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში

#### საფრანგეთში.

პარიზში პირველ მაისის გაფიცვებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. სულ გაიფიცა 700 ათასი მუშა.

დემონსტრაციები და მიტინგები მშვიდობიანად ჩატარდა.

მუშების შვილები—პიონერები ჰყიდდენ ქუჩებში სსრკ-ს წითელ ნიშნებს.

#### ბელგიაში

ბელგიის ყველა სამრეწველო ცენტრებში დიდის გაცხოველებით ჩატარდა გაფიცვები და მანიფესტაციები. მანიფესტაციები ყველგან ფაშისტების საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა.

#### იაპონიაში

მაისის დემონსტრაციები იაპონიაში საერთოდ მშვიდობიანად ჩატარდა. იყო მხოლოდ უმნიშვნელო შეტაკებები დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. დაპატიმრებულია რამოდენიმე დემონსტრანტი.

#### პოლონეთში

ვარშავაში პოლონეთის სოც. პარტიის რაზმელები შეეცადენ ჩაეშალათ დემონსტრაცია, მაგრამ ვერაფერს გახდა. იყო შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის. მოკლულ იქნა 5 მუშა, მძიმედ დაიჭრა 30 კაცზე მეტი.

გაზეთების ცნობით, დემონსტრანტები თითქოს ცდილობდენ განეიარაღებინათ პოლიცია და ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება.

#### კომუნისტური დემონსტრაცია პრაგაში

პრაგაში უფრო ფართე ხასიათის დემონსტრაცია გაიმართა ერთიანი ფრონტის ლოზუნგით. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 20 ათასამდე კაცი, რომელთა უმეტესობას კომუნისტები შეადგენდა.

#### ფაშისტურ იტალიაში

1 მაისს იტალიაში არსად არ შეწყვეტილი მუშაობა და არავითარი შემთხვევაც არ მომხდარა.

#### ინგლისში

ინგლისში 1 მაისის დემონსტრაციამ განსაკუთრებით ფართე ხასიათი მიიღო. ამას ხელი შეუწყო ინგლისის მაღაროს პატრონებსა და მუშებს შორის გამწვავებულ მდგომარეობამ.

დემონსტრაციებში მონაწილეობას ღებულობდა ქალების დიდი რაოდენობა წითელ თავსაფრებით.

## სამკურნალო აბაზანები

ბორჯომის საკურორტო სამმართველო მიმდინარე წელში ხსნის სამკურნალო აბაზანებს დაწესებულ ვადაზე ოცი დღით ადრე.

ამით საშუალება მიეცემა ყველა ავადმყოფებს გაიარონ აქიმობის სრული კურსი.

# კავში რი სოფელთან.

რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ჯარის ნაწილები გავლენ საბანაკოდ.

საბანაკოდ გასვლის შემდეგ ყველა ნაწილებს ეძლევა საშვალება გააბან კავშირი სოფელთან.

ზოგი ნაწილები საზამთრო პერიოდშიაც აგრძელებდენ კავშირს იმ სოფლებთან, რომლებთანაც იყვნენ ისინი წინა წლის საკარვო ცხოვრებისდროს. საბანაკო-საზაფხულო პერიოდი წითელი არმიის ცხოვრებაში ეს ის დროა, როცა წითელი არმიას საშუალება აქვს მჭიდრო კავშირი იქონიოს სოფლის გლეხ-კაცობასთან. ეს დრო ჩვენმა ნაწილებმა შესაფერად უნდა გამოიყენოს მშრომელ გლეხობასთან კავშირის დასაჭერად და ამ კავშირმა სათანადო შედეგებიც უნდა მოგვცეს ვიდრე წინა წელში.

საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მორიგი ამოცანაა მშრომელი ხალხის გასამხედროების საქმე, მიაღწევს ამ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მას ეყოლება სოფლად სამხედრო საქმის მცოდნე პირები, რომლებიც დღეს ჩვენს სოფლებში ნაკლებათ მოიპოვებიან. ამიტომ საჭიროა ჩვენმა ნაწილებმა ბანაკად გასვლის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს. ყველა ახლო მდებარე სოფელში მაინც ნაწილმა უნდა შესძლოას სამხედრო კუთხის მოწყობა, საუბრების ჩატარება და საინტერესო ცნობების მიწოდება სამხედრო დარგიდან; მიიღონ მონაწილეობა სოფლის პარტ- და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში, გაეცნონ მათ დადებით და უარყოფით მხარეებს და ყოველგვარი ღონისძიება იხმარონ ადგილობრივი მცხოვრებთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ზოგიერთ სოფლებში, განსაკუთრებით გორის მაზრის სოფლებში, არ არსებობს ქოხ-სამკითხველოები, არ მისდის საკმაოდ გაზეთები, თუ არის სამკითხველო, არ აქვთ ლიტერატურა და სხვა. ყველა სოფლისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გაზ. „წითელ არმიელი“, რომელიც ხელს შეუწყობს გასამხედროების საქმეს სოფლის მშრომელებში. ამიტომ საჭიროა ეს გაზეთი ფართოდ იქნას გავრცელებული მშრომელთა შორის.

აგრეთვე პარტორგანიზაციამ ნაწილებიდან უნდა გამოჰყოს ერთი აქტიური მომუშავე სოფლად პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად და თვით გლეხების მიერ ამორჩეულ დღეებში მოხდეს მათთან მეცადინეობის ჩატარება და სხვა.

სამხკორი ტ. მამალაძე.

# საქართველოში.

## დუღაბი ზაჰესისთვის

ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ჩერნომორეცი“, რომელმაც მოიტანა 22.000 ფუთი დუღაბი ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრო—სადგურისთვის.

## ხანძარის ჩაქრობა

მეზობელ სოფლის გლეხობისა და ოზურგეთის ცეცხლის მქრობელი რაზმის მეოხებით ჩაქრობილ იქნა ხანძარი ლიხაურის სტყეებში.

ზარალი ირკვევა.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი პარტსაქმიანობა.

მე-6 ლეგიონი.

26 აპრილს გაიხსნა ლეგიონის სადელეგატო დახურული კრება, რომელმაც გასტანა 29 აპრილამდი. კრებაზე დაესწრო, როგორც ლეგიონის ძირედი უფ-და წითელარმიელთა შემადგენლობა, პარტ-და კომკავშირიდან, ისე წერტებიდან მოსული ამხანაგები.

დღის წესრიგი:

ბიურო-კოლექტივის მდივნის საანგარიშო მოხსენება 6 თვის განმავლობაში.

კომკავშირის თანამოხსენება.

მომავალი მუშაობის ამოცანები — პოლიტ-განყოფილების მოხსენება.

ბიუროს არჩევნები.

ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნამგალაძემ. მან აღნიშნა თუ როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა ბიუროს და როგორ შედეგებს მიაღწია მან ბოლო ხანებში. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის კომკავშირის ორგანიზატორი ამხ. თორაძე, რომელმაც ჯამი გაუკეთა 6 თვის მუშაობას კომკავშირში. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მუშაობა მოიკოჭლებდა, მაგრამ ამის მიზეზი იყო ხელმძღვანელის დატვირთულობა ზედმეტი სამუშაოთი. შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც ამხანაგები მიუთითებდენ ნაკლზე მუშაობაში. კრებამ ბიურო-კოლექტივისა და კომკავშირის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი აგრეთვე ლეგ. კ. კ. ორგანიზატორის მუშაობაც. ბიურო-კოლექტივის მდივანს გამოეცხადა მადლობა მისი ენერგიული მუშაობისათვის.

### მომავალი მუშაობა.

მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს პოლიტ-განყოფილების უფროსი. ის ეხება საკითხს, თუ როგორ უნდა მიუდგეს მეცადინეობას უფროსი ამხანაგები—როგორც პარტიის, ისე ახკომკავშირის წევრები ძირედი და ცვალებად შემადგენლობის წითელარმიელთა შორის მუშაობის დროს და როგორ უნდა შეხვდენ ცვალებადელთ, რომლებიც ამ მოკლე ხანში გამოვლენ.

აქ უმთავრესი როლი ეკუთვნის პარტ ამხანაგებს, რომლებმაც უნდა გააღრმავონ მუშაობა, პარტიულ ცვალებადელებსა და უპარტიო ამხ. შორის. მეთაურისა და წითელარმიელის ურთიერთობის შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მეთაური არ უნდა იყოს წითელარმიელთა მასიდან გამიჯნული. ხოლო მათ შორის დაახლოება მოხდება მაშინ, როცა მეთაური თავისუფალ საათებში დაუწყებს წითელარმიელს საუბარს მისთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებზე.

ბოლოს მომხსენებელი უსურვებს კრებას დასახულ ამოცანების 100 პროცენტით შესრულებას.

დასასრულ მოხდა ბიუროს ხელახალი არჩევნები. არჩეულ იქნა აგრეთვე პარტმსაჯულები —სულ სამი კაცი.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

## შავი ქვის გატანა

ფოთის ნათსადგურიდან ამერიკაში გაემგზავრა გემი „ბიორნსტერნე ბიორნსონი“, რომელმაც წაიღო 8.555 ტონა შავი ქვა (ტონა=61 ფუთს),

# ჩვენი კომკავშირის მუშაო

(მე-3 ლეგიონი)

ჩვენ ლეგიონში ახ. კ. კავშირის უჯრედი დაარსებულ იქნა 1925 წლის დასაწყისში.

გეგმიური მუშაობა კი დაიწყო გასული წლის 1 ივნისიდან, როდესაც ჩვენი ლეგიონი წითელ არმიელებით შეივსო. კ. კავშირის განმტკიცებას ხელს უშლიდა მინდვრად ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად ამისა ბანაკად ყოფნის დროსვე მაინც ჩამოყალიბდა 8 კომუჯრედი და ორი პარტსკოლა. თვითეულმა კომუჯრედმა დაიკავა კავშირი, როგორც სამხედრო ნაწილებთან, ისე სოფელთანაც; ხშირად ვესწრებოდით ერთიმეორეს კრებებზე და ვეცნობოდით ერთმანეთის ცხოვრებას. სოფელ ბეკამს, რომელთანაც ცოცხალი კავშირი გვქონდა, უწერდით ჟურნალ-გაზეთებს და დღესაც უწერთ.

გლეხობას დახმარებას უწევდით ყოველ მხრივ. მაგალითად, ერთ გლეხს, რომელსაც მარტოხელობისა და მასთან ავადმყოფობის გამო ყანა დაუმუშავებელი რჩებოდა, მიეშველა 15 კ. კავშირელი და დაუმუშავეს ყანა. ასეთი მაგალითები მრავალი იყო.

ბანაკიდან ყაზარმებში დაბრუნების შემდეგ კ. კავშირის რიგები მთელი 100 პროც. განმტკიცდა. ჩამოყალიბდა 11 კომუჯრედი, რომლებმა დრო კავშირი გააბა რ ქალაქის, ისე სოფლის ო ზაციებთანაც. შეიტანა ქალაქო ორგანიზაციებ სამხედროება, მოაწყო დრო კუთხეები და სხვა.

გამოყოფილ იქნა უჯ ბიდან მეთაურები და აქ წითელ არმიელები, რომ მიმაგრებულ იქნენ სამხ კუთხეებზე და სისტემატ აწარმოებენ სამხედრო დინეობას კვირაში ერთ ხშირად იმართება შეერ ლი სადამოები. ვეხმა სოფლებს ჟურნალ-გაზე და წიგნებით.

კ. კავშირლები აქტიუ ნაწილეობას ღებულობენ ულებში არსებულ ბირთ საქმიანობაში. არიან ჩაბმ კლუბთან არსებულ წრ მუშაობაში.

კომუჯრედები სისტემა რად უშვებენ ორკვირეულ დლის გაზეთს.

ასე რომ კომკავშირი სიმაღლეზე სდგას და გვაქვს, რომ ბანაკობის უფრო მჭიდრო კავშირს ბამს სოფელთან.

სამხკორი ბ. იოსელ

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# ჩვენი სოფლის საჭირბოროტო საკითხები*).

ერთი მხრივ ჩვენი სამეურნეო ზრდა და მეორე მხრივ ამასთან დამოკიდებული მასის აქტიობის ზრდა ჩვენი მშენებლობის საკითხების მიმართ, რასაკვირველია პირველ რიგში სვამს საკითხს ჩვენი პარტიის გავლენის შესახებ სოფლად. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიის მუშაობის საკითხს საერთოდ და კერძოდ სოფლად და მიიღო შესაფერი დადგენილება: „სოფლის საბჭოების და კოოპერაციის გაცხოველება, რომელიც გზას უხსნის ინიციატივასა და აქტიობას გლეხთა მასაში, გულისხმობს პროლეტარულ ხელმძღვანელობის შენარჩუნებისა და გამაგრების თვალსაზრისით, გაცხოველებას, შეკავშირებას და გაძლიერებას პროლეტარულ ორგანიზაციების აქტიობისას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება გამაგრებულ იქნას პროლეტარიატის დიქტატურა და უზრუნველყოფილი სწორი პოლიტიკური ხაზის გატარება სოციალიზმის თვალსაზრისით... რომ სწორედ იქნას მთელი ეს მუშაობა ჩატარებული პროლეტარიატისა და გლეხობის მასიურ ორგანიზაციების გაცხოველებისათვის, საჭიროა, რომ ხელმძღვანელი ძალა ამ ორგანიზაციებისა, ე. ი. რ. კ. პ. დადგეს ყველა თავის შემადგენელ ნაწილებში თანმიმდევრობით შინაპარტიულ დემოკრატიის ნიადაგზე“. ცხადია ის დებულება, რომ კომუნისტური პარტია არის ხელმძღვანელი ერთი მხრივ მთელი ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების და მეორეს მხრივ ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრების. მაგრამ შემცდარია ის აზრი, რომელიც ამტკიცებს, თითქოს ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანო იყოს ჩვენი სახელმწიფოებრივი უმაღლესი ორგანო. პარტია მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევს ჩვენს ორგანოებს, აყენებს მათ განსაზღვრულ გზაზე, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის სოციალიზმისაკენ განვითარებისათვის. აქედან ცხადათ ირკვევა ის დებულება, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება ჩვენი პარტია მით უფრო მეტია შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენი განვითარება წავა განსაზღვრულ მიმართულებით. ეს ქონდა მხედველობაში ყრილობას, როდესაც ის გარკვევით მიუთითებდა პარტიის ზრდასთან ერთად მის ამოცანების ზრდასაც ჩვენს პირობებში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ჩვენი პარტია გაიზარდა არა საერთოდ, ის გაიზარდა განსაზღვრული მიმართულებით. ჩვენი პარტია უპირველესყოვლისა პროლეტარული პარტიაა ან როგორც უკეთ იტყოდა ამხ. სტალინი „ჩვენი პარტია მუშური პარტიაა და ამდენათ მასში პირველობა ექნება უსათუოდ მუშებს“. ეს კიდევ არ ნიშნავს იმ დებულებას, რომ გლეხები უნდა გამოვრიცხოთ პარტიიდან ან არ მივიღოთ. ჩვენ ვამტკიცებთ იმ დებულებას, რომ პარტიაში უნდა ყოველთვის აჭარბებდეს წმინდა მუშური ელემენტი, რომელიც შესძლებს გლეხობის ნაწილთან ერთად ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას.

განსაკუთრებით საჭიროა სწორი ხელმძღვანელობა ჩვენს სოფელში, სადაც ჩვენი შეუგნებლობის გამო შეიძლება ფეხი მოიკიდოს ანტი-პროლეტარულმა გავლენამ, რომელიც უთუოდ დაღუპავს ჩვენს გლეხს. ამისთვის კომუნისტური პარტიის ზრდა სოფლად რიცხვობრივად და თვისობრივად ეს არის ამოცანა, რომელიც ყრილობამ დააყენა პირველ რიგში.

თუ გადავხედავთ ციფრებს დავინახავთ შემდეგს:

| წლები. | რაოდენობა გლეხურ უჯრედებისა. | წევრთა რიცხვი. |
|---|---|---|
| 1919 წ. | 1.774 | 22.500 |
| 1920 წ. | 4.335 | 103.200 |
| 1922 წ. | 14.100 | 119.600 |
| 1923 წ. | 13.941 | 132 600 |
| 1924 წ. | 13.500 | 173.500 |

ამჟამად სოფლათ პარტიის წევრთა რიცხვი უდრის სულ 202.000 გლეხს. ე. ი. 0,37%. რასაკვირველია ეს რიცხვი ჩვენი კავშირისთვის არის მეტად მცირე. მთელი გლეხობის რიცხვი 18 წ. 60 წლამდე, უდრის 54 მილიონს, ამასთან შედარებით ეს რიცხვი პარტიის წევრების, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ რასაკვირველია, რომ მცირეა. ამისთვის პარტიის მე-XIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი უჯრედების ზრდის აუცილებლობა ჩვენს სოფლის პირობებში. რადგან როგორც ამხ. სტალინმა აღნიშნა თავის მოხსენებაში ყრილობაზე „გლეხობასთან კავშირის გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია, რომ განსაზღვრული პროცენტი საუკეთესო ელემენტებისა გლეხობიდან ჩვენი პარტიის შემადგენლობაში წარმოადგენს აუცილებელ დასაყრდენს ჩვენი პარტიისათვის სოფლად“.

განსაკუთრებით მეტად დიდი საჭიროება ჩვენი პარტიის სოფლად გავლენისათვის, როდესაც პარტიამ გადმოისროლა მოწოდება რევოლიუციონურ კანონიერების განხორციელებისა და გატარების შესახებ. კულაკურ ელემენტების ზრდა სოფლად ჩვენი სამეურნეო ზრდასთან ერთად სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ სოფლად სავსებით იქნას დაცული ჩვენი რევოლიუციონური კანონიერება. ჩვენი პარტიის უჯრედმა და თვითეულმა წევრმა სოფლად უნდა სასტიკი თვალყური ადევნოს სოფლად ჩვენი ხელისუფლებისა და პარტიის დირექტივების გატარებას, რადგან თვითეული შემცდარი ხაზი, შემცდარი მოქმედება გლეხობის მიმართ ჩვენ ჩამოგვაცილებს ამ გლეხობას.

თუ დავუკვირდებით კომუნისტურ პარტიის გავლენას სოფლად, რამდენადაც ის გამოიხატება ჩვენი მონაწილეო სოფლის სხვა და სხვა ო ნიზაციებში ჩვენ დავინა შემდეგს:

| | 1923 წ. | 192 |
|---|---|---|
| თემის აღმასრულ.კომ. | 47 | 5 |
| ფინაგენტები | 31 | 4 |
| სახალხო მოსამართლენი | 64 | 7 |
| გამომძიებელნი | 42 | 4 |
| სოფ.მომხმარებელ სა.გამგ. | 19 | 2 |

ეს ციფრები ამტკიცებენ დებულებას, რომ ჩვენი ლენა რამდენათ ეს გამოი ბა ზემო დასახელებულ ო ნოებში მონაწილეობაში თუოდ იზრდება.

ასეთივე ზრდა ეტყობა ლად კომუნისტურ კავ რომელიც ფორმალურად არის პარტია მაგრამ, რ ლიც ფაქტიურად პარტია რმოადგენს. ასე მაგ.

1922 წ. იყო წევრი 110.
1923 წ. — — 120.
1924 წ. — — 280.

ჩვენ ვიზრდებით და ეს და საუკეთესო მაჩვენებ ჩვენი სადი პოლიტიკისა ლად.

—ლი

*) იხ. ჩვენი გაზეთი № 95 (1090).

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მოხსენება 1-ლი მაისის მნიშვნელობაზე

1-ლი ლეგიონი.

30 აპრილს ნაწილის კლუბში შესდგა 1-ლი მაისის აღსანიშნავი საღამო. დაესწრო მთელი ლეგიონის შემადგენლობა. კრებაზე მიწვეული იყო საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ხარაბაძე. მან ვრცელი მოხსენება გააკეთა 1-ლი მაისის წარმოშობის ისტორიისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვის.

კრებამ მხურვალე ტაშით შეეგება ამხანაგის მოხსენებას. გამოვიდნენ სხვა ამხანაგებიც.

ამავე საღამოს ინგლის წითელარმიელებს მუსიკალური ჯგუფისაგან შემოწირული იქნა ... , რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ყველაში და მხურვალე მადლობა გადაუხადეს ჯგუფის ხელმძღვანელებს ასეთი ზრუნვისათვის. ამით დამთავრდა კრება.

სამხკორი მ. კუმავა.

## ჩავიბარეთ წითელი დროშა.

ცხენ. ლეგიონი.

30 აპრილს ლეგიონის ეზოში ... წლის თავის დღესასწაულის დღეს, ს. ხალხთა კომისართა საბჭომ გადმოგვცა წითელი დროშა.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა საზეიმოდ იყო გამოწყობილი.

ლამაზად ჩამწკრივებული წითელი მოლოდინში იყვნენ. ხალხთა კომისართა საბჭოს წარმომადგენლის სიტყვის: „წითელი დროშით დაიცავით მშრომელი ხალხის ინტერესები" დამთავრების შემდეგ ... თავის სიტყვებით ამ წითელი დროშის გადაცემა ხელში ლეგიონის მეთაურს. ლეგიონის თავმა, სამხედრო კომისარმა და სხვებმა ფიცი დადეს, რომ პირნათლად შეასრულებენ მშრომელთა ... დროშის მოწოდებას და სახელოვნად ატარებენ მისდამი ნდობას.

ლეგიონის მთელი შემადგენლობამ მხურვალე „ვაშით" შეეგება ამ სიტყვებს და ამით ... თავისი მტკიცე ფიცი მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში.

დროშის ჩაბარების შემდეგ ლეგიონში გამართა ზეიმი და ... სახელო საღამო, რომელსაც დაესწრნენ მოწვეული სტუმრებიც.

სამხკორი პ. კ—ძე.

## კარგად გვამეცადინებენ

1-ლი ლეგიონის 3 ასეული

რომელიმე ... ასეულში მოიყვანეს სამუშაოდ პოლიტიკური უფროსი ... კურსანტები, რომლებმაც ძალიან გამოაცოცხლეს ნაწილის მისი ლენკუთხეების სამუშაოები. თითქმის ყოველი წითელი მომავალ მოსამზადებლად ... მუშაობამ და შეგვმატა ენერგია. თავისუფალ საათებში დროს ეს ამხანაგები ყოველთვის გვერდში გვიდგანან და გვიხსნიან ყველა იმ საკითხებს, რომლებიც გაუგებარი იყვნენ ჩვენთვის და კიდევ მოითხოვენ სთ...

ამას გარდა ვიმეორებთ ... .

ძლიერ ხშირ ... მუშაობით, ამხანაგებმა შევიდ ... იმდენად ... თავის საქმიანობას ამხანაგები და ნაყოფიერად გამოიყენებენ ჩვენთან მოვლინების დროს.

წ. არმ. ც—ძე.

## ვაძლიერებთ გლეხობის გასამხედროების საქმეს.

მეორე ლეგიონის მეორე ათასეულის და სიღნაღის სამხედრო კომისარიატის თანდასწრებით მოწვეულ იქნა სამხედრო-სამეცნიერო წრის დამფუძნებელი კრება (კონფერენცია), სადაც დაესწრო მაზრის ხელისუფლების წარმომადგენლობა. 20 პარტიის წევრი და 127 უპარტიო გლეხობა, კონფერენციის მიზანი იყო, რომ თანახმად სამხ. სამეც. საზოგადოების დებულებისა ადგილობრივ დაეარსებიათ სამხედრო უჯრედი, რომელიც მიზნათ ისახავს თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის გაცნობას ფართე საზოგადოებაში და მოქალაქეთა გასამხედროებას. გაკეთებული იქნა სათანადო მოხსენებები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მნიშვნელობა გლეხობის გასამხედროებაში და მათი დანიშნულება მომავალ ომში. 2) სამხედრო სამეცნიერო წრის უჯრედის დაარსება და პრეზიდიუმის არჩევა.

1-ლ საკითხზე მოხსენება გააკეთა მე-2 ათასეულის მეთაურმა ამხ. მაჭავარიანმა, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას სამხ. სამეც. საზოგადოების მნიშვნელობა, თუ რა მიზნის ისახავს გლეხობასთან დაახლოების საქმეში და მათ გასამხედროების საქმეს როგორი უერთდება ქმედება.

მოხსენება მოწონებული იქნა და გლეხობამ გამოთქვა სურვილი, რომ შეისწავლიან სამხედრო ტეხნიკას და ამავე დროს ხელს შეუწყობენ სამხ. სამეც. საზოგადოების გაძლიერებას.

ამავე საკითხზე დამატებითი მოხსენება გააკეთა სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარმა გიორგაძემ.

შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შვიდი კაცისაგან, რომელშიდაც ერთხმად იქნა გაყვანილი მეორე ათასეულის მეთაური მაჭავარიანი და სიღნაღის სამხედრო კომისარი. წრის სამეცადინო დღის დანიშვნა მიენდო პრეზიდიუმს.

ვუსურვებთ ახლად დაარსებულ უჯრედის პრეზიდიუმს ენერგიულ მუშაობას გლეხობის გასამხედროების საქმეში.

სამხკორი მეფარიშვილი.

## ვეხმარებით ქვრივოგლეხს.

მე-4 ლეგ. 2 ასეული.

ასეულის წითელ არმიელებმა გადავსწყვიტეთ დავხმარებოდით მახლობელ სოფლის ღარიბ მცხოვრებს—ქვრივს. ოჯახის მარჩენალი ითვლება წითელ არმიელად. ასეულის უფროსმა სიამოვნებით დაგვრთო ნება და თან გაგვატანა ერთი მეთაური. გაუდექით გზას სიმღერით. დილით ადრე მივედით აღნიშნული გლეხისას და შეუდექით მისი ადგილების დამუშავებას. სოფლის დანარჩენ გლეხობაზე ჩვენმა ასეთმა საქციელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი დღის განმავლობაში თავდაუზოგველად ვმუშაობდით. დავამუშავეთ საკმაოდ ადგილები და საღამოზე კი გამოვეშურეთ ნაწილისაკენ. სოფლის გლეხებმა მოიყარეს თავი და მადლობა გადაგვიხადეს ასეთი მზრუნველობისათვის.

განზრახული გვაქვს მომავალშიდაც გაუწიოთ ასეთი დახმარება მახლობელ სოფლების ღარიბ გლეხობას.

სამხკორი ს—კო.

## კომბინიური საღამო

1-ლი არტლეგიონი

ლეგიონის 3 ბატარეიაში მოეწყო კომბინიური საღამო, რომლის მნიშვნელობა წინასწარ გააცნო საზოგადოებას პოლიტხელმა.

საღამოზე გამოვიდენ სხვა და სხვა ბირთვები თავიანთი შემოქმედებით. მომღერალთა ბირთვმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერა, დრამწრემ დასდგა ინსცენიროვკა, რომელმაც მშვენივრად შეასრულა რამოდენიმე ნომერი.

უფრო საინტერესო იყო, მეჩანგურეთა ბირთვი. ისინი გამოვიდენ რევოლიუციონური ლექსებით და დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს საზოგადოებაზე.

საერთო განათლების წრეებიდან წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ამათაც დიდი ინტერესი გამოიწვიეს ხალხში. ზოგიერთ ბირთვებმა ველარ მოასწრეს გამოსვლა დაგვიანების გამო და ვერ გამოიტანეს თავიანთი შემოქმედება სახალხოთ.

დასასრულ გვაჩვენეს შუქის ძალით ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა სურათები.

ამნაირად ბატარეიამ გვიჩვენა თავისი ნამუშევარი და უნდა ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელიც იყო.

იმედია ნაწილი კიდევ უფრო გამოაცოცხლებს ამ მიმართულებით მუშაობას.

სამხკორი

პ. მინადორაშვილი.

## ჩვენი ნაწილების ლენკუთხეებში.

მე-3 ლეგ. 2 ასეული.

ასეულის ლენინის კუთხე წითელ არმიელების მუდმივ თვითგანვითარების ცენტრად ითვლება ნაწილში. აქ იყრიან თავს ჩვენი თვითმოქმედი ყველა ორგანიზაციები და იქვე მოთავსებული კალენდრული ცხრილის მიხედვით აწარმოებენ მუშაობას. წითელ არმიელები აქ გროვდებიან, კითხულობენ, ისმენენ ხმამაღალ კითხვას და ყურს უგდებენ აქვე წარმოებულ საუბრებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო. ჯგუფების ხელმძღვანელებიც აქ ემზადებიან საუბრების ჩასატარებლად. ადგენენ კონსპექტებს და ითვალისწინებენ თემებს.

წითელ არმიელების 70% ძლიერ დაინტერესებული არიან ამ განათლების კერით. ფართოდ წარმოებული მასიური მუშაობა იმედს გვაძლევს, რომ ახლო მომავალში მთლიანად ჩაებმება ამ მუშაობაში წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა.

წ. ლაშქ. მოხევე.

## 1-ლი ლეგიონის ლენკუთხეები

ლენკუთხეების მუშაობა თავიდანვე კარგად მიმდინარეობდა ლეგიონში. ყველა ასეულების კუთხეები უზრუნველყოფილი არიან ლიტერატურით. წითელ არმიელები გულმოდგინეთ კითხულობენ წიგნებს. გააქვთ წიგნები ბლომად და თავის დროზე აბრუნებენ უკან წაკითხვის შემდეგ. ყოველ საღამოობით სწარმოებს კუთხეებში ხმამაღალი კითხვა, რომელშიდაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები. ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა ბირთვები. კლუბი და ბიბლიოთეკა სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ ლენ-კუთხეების მუშაობას.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

# შესაძლებელია თუ არა ომი ახლო მომავალში?

### შეიძლება თუ არა ომის წინასწარმეტყველება?

ბურჟუაზიული ქვეყნის მესვეურები ბევრს გაიძახიან საერთაშორისო მშვიდობიანობის და განიარაღების შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით. ჩვენ კი მათი ლაპარაკი ამ მხრივ სხვანაირად გვესმის. რამდენადაც მეტს ლაპარაკობენ ისინი მშვიდობიანობაზე, იმდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოახლოვებულია მომავალი ომის საშიშროება.

ზოგიერთები ამ ომის დასაწყისის დროსაც კი წინასწარმეტყველებენ. არც იმდენად ძნელია წინასწარ ამის თქმა. 1914 წლის ომის შესახებ იმათ ვისაც ეს სჭიროდა უკვე ჯერ კიდევ 1908 წელში იცოდენ. ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში მოთავსებული იყო ასეთი ცნობა: „დიდი ომი დაიწყება 1914 წლის პირველ ნახევარში, ვინაიდან სწორედ ამ დროისთვის დიდი სახელმწიფოების არმიები სავსებით მზად იქნებიან ბრძოლისთვის". გავიდა 6 წელი და 1914 წლის ივლისში დაიწყო მსოფლიო ომი.

ეხლაც დიდი მზადებაა ომისთვის. გაცხარებით მზადდება ტანკები და ქვემეხები. მარტო საფრანგეთს აქვს თავის თოფხანებში 12 ათასი მძიმე ზარბაზნები. მილიარდობით ნთქავს ავიაცია და ქიმია. ჰაერში მარტო ერთ კაცს შეუძლია გასწიოს 100 კაცის მაგიერობა მიწაზე; ეს ხომ ხუმრობა საქმე არაა?

საომრად ასეთი მომზადებისთვის დიდძალი ფულია საჭირო. ჰაეროპლანი რომ ააგო, ჯერ საჭიროა ქარხნის აგება.

ფულები მიდის სალაროებიდან, მაგრამ ბურჟუაზიულ სალაროსაც აქვს ძირი. არ შეუძლია ყველა სახელმწიფომ გაუძლოს ამდენ ხარჯებს.

და აი, იაპონიის სამხედრო საქმის მცოდნეებმა გამოიანგარიშეს, რომ იაპონიას შეიარაღების გაძლიერებისათვის ფული ეყოფა მხოლოდ 1930 წლამდი, ხოლო ზოგიერთებს კი ეს ვადა ჩამოჰყავთ 1927 წლამდე.

მაგრამ რაღა მოხდება შემდეგ? შემდეგ მოხდება ის, რომ იაპონია ან დაჰკარგავს თავის სახელმწიფოებრივ დიდ მდგომარეობას ან და ომს გამოუცხადებს ამერიკას. ხოლო ვინაიდან ბურჟუაზიას არ უყვარს დათმობა, შესაძლებელია, დაიწყოს ომი 1927 წელში.

**სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა.**

ხოლო სანამ მიდის მზადება ომისთვის, 18 მაისს ჟენევაში (შვეიცარია) დაიწყება 1001-ჯერ ლაილაი საყოველთაო განიარაღების შესახებ.

ჩვენც მიგვიწვიეს იქ, მაგრამ ჩვენ არ წავედით. ჩვენ ვიცით ბურჟუაზიული ქვეყნების ფარისევლობა და ვიცით ისიც, რომ მათი ლაყბობისგან არაფერი გამოვა.

როცა შვეიცარიაში ჩვენ მოგვიკლეს წარმომადგენელი, ჩვენ იმ თავითვე განვაცხადეთ: შვეიცარიაში ჩვენ ფეხსაც არ დავსდგამთ.

1924 წელში ჩვენ კიდევ ერთხელ გავიმეორეთ ეს გადაწყვეტილება და უარი განვაცხადეთ მონაწილეობა მიგვეღო საზღვაო განიარაღების კონფერენციაზე. მაშინ ერთა ლიგამ გადაიტანა საზღვაო კონფერენცია რომში (იტალია), სადაც ჩვენც წავედით.

ეხლაც ასე განვაცხადეთ ჩვენ: —განიარაღების კონფერენციაზე დიდი სიამოვნებით წამოვალთ, მხოლოთ შვეიცარიაში კი არა....

მაგრამ ჩვენ მაინც მიგვიწვიეს შვეიცარიაში.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მონაწილეობა კონფერენციაზე ბურჟუაზიულ ქვეყნებს მაინცა და მაინც არ სურთ.

ინგლისური გაზეთები გულახდილად ლაპარაკობენ: „შესაძლებელია, რომ კონფერენციაზე გზა და გზა გამომუშავებული იქნას საერთო ბრძოლის გეგმა ბოლშევიზმის წინააღმდეგ"—ე. ი. ჩვენს წინააღმდეგ. აქედან გასაგებია ერთი ამერიკელის განცხადება.

— ერთა ლიგამ გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ კონფერენციას წარმატება არ ჰქონოდა.

**რამდენად საშიშია მომავალი ომი?**

ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ომის საფრთხე ჩვენც მოგველის? დიახ, ომისგან დაზღვეული არა ვართ და ყოველ ჩვენგანს ეს უნდა ახსოვდეს.

და არ უნდა გვეშინოდეს ბურჟუაზიულ სამხედრო ტეხნიკის. ეშმაკი არც იმდენად საშიშია, როგორც წარმოუდგენიათ. მართალია არიან საშიში აირები—მაგალითად იპრიტი, მაგრამ იმისთვის, რომ მოწამლული იქნას თბილისი, საჭიროა 50,000 ფუთზე მეტი აირი. ხოლო ამ რაოდენობით აირების გადმოტანისთვის კი საჭიროა დაახლოებით 250.000 ყუმბარის მზიდავი თვითმფრინავი. თბილისზე თავდასასხმელად ისე, რომ მას სერიოზული ზიანი მიაყენო საჭიროა 2,000 თვითმფრინავი მაინც.

მთელი საფრანგეთის არმია, რომ შეიარაღებული იქნას უახლესი ტიპის ტანკებით, ამისთვის საჭიროა საფრანგეთმაც დახარჯოს მთელი სახელმწიფოს შემოსავლის სამი მეოთხედი.

52 სანტიმეტრიანი ზარბაზანი 100 მეტ გასროლას ვერ გაუძლებს, ხოლო ამ გასროლის შემდეგ ის ხელახლად გადაკეთებული უნდა იქნას, 120 ვერსის მანძილზე მოხვედრის რაოდენობა არაა დიდი, ხოლო განბნევა კი დიდია.

აი ასეთ გარემოებაში მომავალი ომის გადამეტებული საშიშროება სუსტდება.

მაგრამ ამით მაინც არ შეიძლება თავის დამშვიდება. თბილისის მოწამვლისთვის საჭიროა 50.000 ფუთი იპრიტი, მაგრამ რკინის გზის მთავარი კვანძის დასანგრევად, მნიშვნელოვანი ქარხნის გასანადგურებლად გაცილებით ნაკლები საშვალებაა საჭირო. მათი დანგრევა აუარებელ ზარალს მიაყენებს სახელმწიფოს ომიანობის დროს.

მაშასადამე ამას ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, უნდა ვისწავლოთ თუ როგორ ვებრძოლოთ თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მტრის ტეხნიკას, რათა მას დაუპირისპიროთ თავისი ტეხნიკა, თავისი სწავლა და საბრძოლო გამოცდილება.

ს—ი.

# როგორ ჩატარდა სოფლად 1-ლი მაისობა.

6 ლეგ. მე-3 ათას. კომ-უჯრედის მდივანმა ამხ. ჭანკვეტაძემ გამოჰყო მომხსენებლები უფ-შემადგენლობიდან და გააგზავნა სხვა და სხვა თემებში სამაისო კომპანიების ჩასატარებლად. გლეხებში გამართული მოხსენებების დროს ძირეულად იქნა გაშუქებული პირველი მაისის წარმოშობის ისტორია და მნიშვნელობა. გაკეთებული იქნა მოხსენება აგრეთვე ტერ-სისტემის შესახებ. მასთან ერთად ჩატარებული იქნენ მოხსენებები უმთავრესად სამხედრო კუთხეებში და მოყვანილი იქნა სისრულეში სხვა ყველა დავალებები.

სოფლელებმა სურვილი გამოსთქვეს, რათა თვეში ერთხელ მაინც მივიდეთ მათთან და გაუკეთოთ მოხსენებები და გავაცნოთ ქვეყნის მდგომარეობას. სამხკორი დ.

# არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

მე 4 ლეგ. მე 2 ასეული.

ჩვენი ასეული არ ჩამოუვარდება ლეგიონის დანარჩენ ასეულებს საერთო განათლების საქმეში. ყოველ საღამოობით ტარდება გაზეთების კითხვა და დაწვრილებით ეცნობა წითელ არმიელებს საერთაშორისო მდგომარეობა. სისტემატიურად გამოდის ასეულში კედლის გაზეთი ყოველ ორ კვირაში. წითელ არმიელები მასიურად ღებულობენ მასში მონაწილეობას. გვაქვს კავშირი ცვალებად წითელ არმიელებთან. ხშირად ვიწვევთ მათთან ერთად კრებებს.

ცვალებადელების უახლოესი დახმარებით შევსძელით სამხედრო კუთხეების მოწყობა 12 სოფელში.

კუთხეები უზრუნველყოფილი არიან საჭირო ლიტერატურით, იარაღებით და ხელმძღვანელებით. ხშირად ვიწვევთ აგრეთვე თემრწმუნებულების კრებებს და ვაცნობთ მათ სხვა და სხვა საკითხებს, რომ შემდეგ მათ გადასცენ და გააცნონ ისინი გლეხებს.

ასეულის მეთაური და პოლიტხელი, ყოველგვარ ღონისძიებებს მიმართავენ, რომ დაწყებული მუშაობა ნაყოფიერად იქნეს ჩატარებული.

სამხკორი ს—კო.

# შევისწავლოთ მეცადინეობა

ცხენ. ლეგიონი.

ბანაკში გასვლისთვის სამზადისის ჩასატარებლად ლეგიონში შეწყვეტილი იქნა ყოველგვარი სამხედრო მეცადინეობა. ლეგიონის მესვეურებმა საჭირო დაინახეს, რომ ცხენებს კარგად დაესვენებიათ, ამისათვის შესწყდა ცხენებით მეცადინეობაც. მთელი ყურადღება საბანაკო ცხოვრებისაკენ არის ამ ჟამად გადატანილი. უნდა მოეწყოს ლაშქრობითი მოძრაობა, რომლის დროს დიდი ჯაფა დაადგება ცხენებს. საამისო სამზადისი დაწყებულია ნაწილში. ყველას აქვთ მიცემული დავალებები და აქედანვე ზრუნავენ, რომ კარგად შეასრულონ. სადაც არის უკვე გავალთ ბანაკში და შეუდგებით დასახულ ამოცანების სისრულეში მოყვანას.

სამხკორი პ—ე.

# ვსწავლობთ წესდებებს.

მე 4 ლეგ. მე-9 ასეული.

ასეულში წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა. ამჟამად გავდივართ პრაქტიკას. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სამხედრო წესდებების შესწავლის საქმეს. მართალია თვით ასეულს არ მოსვლია ეს წიგნი, მაგრამ გამოიწერეს მეთაურებმა თავისი ფულით და ასე გვამეცადინებენ. ყველა სამხედრო ვალდებულება თითქმის შეთვისებულია. ქართული წიგნის ქონებამ გაგვიადვილა შრომა. თვითონ წითელ არმიელები კითხულობენ მას და სწავლობენ. თუ რაიმე გაუგებარი აზრი შეგვხვდება მივმართავთ უფროსებს და ისინი გვიხსნიან დაწვრილებით.

მომავალ შეკრებას შესაფერი ცოდნით ვხვდებით.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

# ვემზადებით დივიზ. უპარტიო წ. არმიელთა კონფერენციისათვის

მე-3 ლეგ. ბატარეია.

ამას წინად მოხდა ლეგიონის ბატარეის უფ-პოლიტშემადგენლობის და წითელ არმიელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციის მოწვევისა და მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გაგვაცნო კონფერენციის მიზანი და დანიშნულება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი სამხედრო მეცადინეობის, დისციპლინის და სხვათა სიმტკიცისათვის.

დასასრულ მოგვიწოდა აგვერჩია გასაგზავნათ კონფერენციაზე შეგნებული და საიმედო ამხანაგები. მოხსენებამ ბევრი შეკითხვები გამოიწვია.

შემდეგ გაგვაცნეს საარჩევნო ნორმა (5 კაცზე—1-თი) და გადავედით პირდაპირ არჩევნებზე. არჩეული იქნენ როგორც მეთაურები, ისე წითელ არმიელები, რომლებსაც მიეცათ სათანადო ნაკაზი.

მიმდინარე საკითხებში შემოტანილ იქნა შ კითხვები დისციპლინისა და ლენკუთხის შესახებ. კრებამ დაადგინა ჩამოყალიბდეს 7 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც დაევალება ლენკუთხეში ყოველ საღამოობით საუბრებისა და ხმა მაღალი კითხვის ჩატარება.

წ. არმ. არ. ქოიავა.

# როგორ მუშაობენ ჩვენი სამხედრო კუთხეები

მე-6 ლეგიონის 3 ათასეული

ათასეულმა თითქმის ყველა მახლობელ სოფლების ქოხ სამკითხველოებში ჩამოაყალიბა სამხედრო კუთხეები, მაგრამ სამწუხაროდ ისინი ვერ აწარმოებენ მუშაობას ისე, როგორც საჭიროა.

არ არის კუთხეები უზრუნველყოფილი სხვა და სხვა საგნებით. წიგნები ყველგან მიბნეულ-მობნეულია-უთავბოლოდ ყრია. არ არის მათთვის სპეციალური საგნები. სხვა მხრივაც ვერ არიან კარგად მოწყობილი. არჩეული კომისიები ვერ ატარებენ მუშაობას როგორც საჭიროა.

წრეების ხელმძღვანელებს არა აქვთ ფართო მასაში კარგი ავტორიტეტი.

ათასეულმა ეხლავე უნდა მიიღოს შესაფერი ზომები და გამოასწოროს საქმე. მარტო დაარსება არ კმარა. საჭიროა კარგი ხელმძღვანელობაც გაეწიოს სამხედრო კუთხეებს. კომისიები უნდა ამოქმედდენ და ისეთი ხელმძღვანელები გაუგზავნონ სამხედრო წრეებში, რომლებსაც კარგი ცოდნა აქვთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ჩვენს წამოწყებას კარგი შედეგები მოიტანოს მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნენ კუთხეები საჭირო ინვენტარითაც, რომ გლეხს ესიამოვნოს კუთხეში შესვლა.

დროა ადგილობრივ ალმასკომებმაც გამოიჩინონ ყურადღება და სერიოზულად მოეკიდონ ამ საქმეს, თორემ მარტო ათასეული ვერაფერს გახდება. ჩვენ მხოლოდ ხელმძღვანელების მიწოდება შეგვიძლია. უმთავრესი კი ადგილობრივ ხელისუფლებს მოეთხოვება.

სამხკორი ვ. დოლიძე.

# მოსკეთნაკლულევანებანი.

მოგვაქციეთ ყურადღება

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის წითელ არმიელები ვიმყოფებით ბანაკის მოსაწყობათ. აქ დივიზიის სხვა ნაწილებიც არიან მოსული და მუშაობენ. ამავე დროს ისინი არ ივიწყებენ პოლიტსაათებსაც და სისტემატიურად გადიან მას. ჩვენთან კი პოლიტსაათებს არავინ კითხულობს. მამასახლისს ვსთხოვეთ, რომ გავეშვით სხვა ნაწილში პოლიტსაათების მოსასმენათ, მაგრამ ნება არ მოგვცა. თუ ასე გაგრძელდა სულ დაგვავიწყდება რაც შევისწავლეთ. საჭიროა ჩვენც გვიკითხავდენ პოლიტსაათებს.

# პასუხი შეკითხვებზე

— მოურავიძეს. ხმარდება სოფლის საჭიროებას.

— წერტილს. სასწავლებელში სიარული შეგიძლიათ თუ ეს სამსახურს არ ავნებს და ისიც უფროსის ნებართვით.

— სოფრომაშვილს. მიმართედ საკურორტო სამმართველოს.

— მინასაშვილს. თქვენი უფროსის საშვალებით მიმართედ გლეხ კომს და ალმასკომს, რათა მათ დაეხმარონ თქვენს ოჯახს.

— შიოლაშვილს. თუ ტაბულით დადებული არის გეკუთვნით.

— კუდა—ნელს. მიმართედ ლეგიონის ექიმს და მას შეუძლია არმიის ლაბარატორიაში სისხლი გაასინჯვიოს უფასოდ.

— არჩვაძეს. უმცროს მეთაურს არ შეუძლია სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება სამსახურის გარეშე.

— მ. მოურავიძეს. ციხეში გატარებული დრო არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამხ. სამსახურში.

— პაპიაშვილს. თქვენ მიერ გამოწერილი გაზეთი ეგზავნებოდა სოფ. სნოს სამკითხველოს 1 მარტიდან მაისადმი

— უსუფ შვერდაძეს. თქვენი შეკითხვა გაუგებარია. მოგვწერეთ გარკვეულად, თუ რას კითხულობთ.

# პასუხი სამხკორებს

გიორგობიანს. თქვენი სამაისო ლექსი წერილი არ გამოგვადგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრების შესახებ ხშირად.

სამხკორ რუხაძეს (2 ლეგ.) წერილი „მადლობის ღირსია“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ ერთხელ უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

ა. ც—ე-ს (4 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ნაზნაურელის შესახებ უმნიშვნელოა ჩვენთვის. არ დაიბეჭდება.

პ. კახიძეს (ცხენლეგ.) წერილი „1-ლი მაისის სამზადისის“ შესახებ დაგვიანებით მივიღეთ. არ გავა. ტანსაცმლის შესახებ კი უმნიშვნელოა.

ბზიკს (2 ლეგ.) წერილი „საჭიროა დასწრება“ არ გამოდგა. უფრო კარგი იქნება სწეროთ ნაწილის ყოფა ცხოვრების შესახებ, ასეთი წერილები კი არ არის ჩვენთვის საინტერესო.

# ევროპის სახელმწიფოების საჰაერო ძალები

თუ რამდენად აძლიერებენ თავის საჰაერო ძალებს ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოები ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან:

საფრანგეთს ჯარის რიგებში ყავს ამჟამად 1500 ჰაეროპლანი, 2000-მდე რეზერვში და 550-მდე სამოქალაქო სამგზავრო ჰაეროპლანები. ამნაირად სულ მის განკარგულებაში იმყოფება 4050 ჰაეროპლანი. ყოველ 100 ჯარის კაცზე საფრანგეთში მოდის ერთი ჰაეროპლანი ანდა 12 ათას მცხოვრებზე ერთი ჰაეროპლანი.

საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა: 1750 ოფიცერი და 30500 ჯარის კაცი თუ მხედველობაში არ მივიღებთ რეზერვის ჯარის კაცებს. საფრანგეთი სცდილობს ამ ახლო მომავლისთვის ჯარის რიგებში მყოფ ჰაეროპლანების რიცხვი აიყვანოს 2.500-მდე.

იტალიაში: ჯარის რიგებში იმყოფება 700 ჰაეროპლანი, 600-მდე რეზერვში და 100-მდე კი სამოქალაქო ჰაეროპლანებია. სულ მათი რიცხვი იტალიაში აღწევს 1.400 სავსებით საომარი უნარის მქონე ჰაეროპლანებამდე. (1 ჰაეროპლანი—330 ჯარის კაცზე). საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა: 2750 ოფიცერი 16500 ჯარის კაცი. ახლო მომავალში იტალია გაზრდის მათ რიცხვს ჯარის რიგებში 2.600-მდე.

ინგლისი: ყავს ჯარში 550 ჰაეროპლანამდე, 700 რეზერვში და 150 სამოქალაქო ჰაეროპლანები. სულ 1400, (ერთი საომარი ჰაეროპლანი 850 ჯარის კაცზე). ფლოტის პირადი შემადგენლობა: 3.350 ოფიცერი და 31.500 ჯარის კაცი.

საჰაერო ფლოტის შენახვისათვის ეს სახელმწიფოები ხარჯავენ აუარება თანხებს.

დიდ სახელმწიფოებს არ სურთ ჩამოუვარდენ ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მეზობელი სახელმწიფოებიც.

პოლონეთში: ჯარის რიგებში ითვლება ამჟამად 150 ჰაეროპლანამდე, 65 რეზერვში და 25 სამოქალაქო. სულ 240 ჰაეროპლანი (1 ჰაეროპლანი 2.000 ჯარის კაცზე.) პირადი შემადგენლობა: 500 ოფიცერი და 5,500 ჯარის კაცი.

პოლონეთში არსებობს ერთი ჰაეროპლანების ოასამზადებელი ქარგანა და სამი პატარა სახელოსნო. ყველა ამათ ყოველწლიურად შეუძლიათ დაამზადონ 75-100 ჰაეროპლანი.

ამჟამად განზრახული აქვთ დიდი ქარხნის აგება. საჭირო თანხები უკვე ისესხეს უცხოელებისაგან. ახლო მომავალში პოლონეთი აიყვანს სამხედრო ჰაეროპლანების რიცხვს 300-მდე.

რუმინიას ყავს 100 სამხედრო, 60 რეზერვის და 20 სამოქალაქო ჰაეროპლანები. სულ 180 ჰაეროპლანი. პირადი შემადგენლობა: 400 ოფიცერი და 3,800 ჯარისკაცი. აქვს სამი ქარხანა. წლიურად ამზადებენ 70-90 ჰაეროპლანამდე. სამხედრო ჰაეროპლანების რიცხვს ის მალე აიყვანს 250 მდე.

ფინეთს ყავს 130 ჰაეროპლანი 1000 სული პირადი შემადგენლობით, რომელთაგან 134 ოფიცერია.

ესტონეთს 60 ჰაეროპლანამდე 65 ოფიცრითა და 400 ჯარისკაცით.

ლატვიას 45-80 ოფიცრითა და 650 ჯარისკაცით.

ლიტვას 41-45 ოფიცრითა და 360 ჯარისკაცით.

ამნაირად, ჩვენს მეზობლებს ევროპიული კაპიტალის დახმარებით ყავთ სულ 696 ჰაეროპლანამდე.


გაავრცელე

ამხანაგო

წითელ არმიელო!

გაავრცელე

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ“-ს

# რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.

3 თვით — 1 მ. 35 კ.

6 თვით — 2 მ. 50 კ.

12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.

3 თვით — 1 მ. 10 კ.

6 თვით — 2 მ.

12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.